იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი **03 სექტემბერი 2018 წელი**

ერთი მხრივ, შპს "შემოქმედებითი ცენტრი ერისიონი" (შემდგომში "მეიჯარე"), წარმოდგენილი უფლებამოსილი პირი დავით კორძაიას (პ#01017014214) სახით, და მეორე მხრივ, შპს "დრანკ ოკტოპუს დისტრიბუცია" (შემდგომში "მოიჯარე"), წარმოდგენილი დირექტორის, იასონ ბიბილეიშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ტერმინთა განმარტებები

ა) **ნივთობრივად უნაკლო** - იჯარის საგანი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ იჯარის საგანი ნივთობრივად უნაკლოა, თუკი ის ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ამასთან, ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მეიჯარე მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადასცემს ნივთის მხოლოდ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერი ნაწილი ნაკლის მქონეა;

ბ) **უფლებრივად უნაკლო** - იჯარის საგანი, რომლის მიმართ მესამე პირ(ებ)ს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე სახის უფლებები მოიჯარის წინააღმდეგ ან/და წარუდგინონ მოიჯარეს პრეტენზია აღნიშნული უფლებების გამო;

გ) **მიმდინარე სარემონტო სამუშაოები** - ყველა სახის სარემონტო სამუშაოები, რომელიც არ განეკუთვნება კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს;

დ) **კაპიტალური სარემონტო სამუშაოები** - ყველა სახის სამშენებლო, სარემონტო სამუშაოების, რომლის წარმოებაც კანონმდებლობით დადგენილი წესით საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობას/ნებართვას;

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. იჯარის საგნის გამოყენების მიზანი: **კომერციული;**

იჯარის საგანი:

მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ #16

საკადასტრო კოდი: 01.15.05.10.002.01.502

სართული: 1

ფართი: 50 მ^2

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს შორის სათანადოდ უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმდება საიჯარო ფართის დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.3. მეიჯარე ვალდებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მიაწოდოს მოიჯარეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო იჯარის საგანი.

2. **იჯარის ვადა**

2.1. საიჯარო ურთიერთობა წარმოიშობა და ძალაში შედის მხარეთა შორის ხელშეკრულების, ასევე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან, ხოლო მოქმედებს 5 წლის ვადით;

2.2. საიჯარო ურთიერთობის მოქმედების ვადა ყოველ ჯერზე ავტომატურად გაგრძელდება 1 (ერთი) კალენდარული წლის ვადით და ამავე პირობ(ებ)ით, იმ შემთხვევაში თუ საიჯარო ურთიერთობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 2 (ორი) კვირით ადრე, რომელიმე მხარე წერილობით არ მიმართავს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ, „მოიჯარე" 3 კალენდარული დღის ვადაში უბრუნებს „მეიჯარეს" „იჯარის საგანს" მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ჩაიბარა მეიჯარისაგან (იჯარის საგნის ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლობის,

იჯარის საგნის სწორი ექსპლოატაციის, ამორციზაციის, ნორმალური ცვეთის ან/და სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით);

3. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

3.1. "იჯარის საგანზე" ყოველთვიური საიჯარო ქირა:
ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მოცემულ იჯარის საგანზე, 1 მ2-ზე შეადგენს 25 (ოცდახუთი აშშ დოლარი) აშშ დოლარის (დღგ-ს ჩათვლით) ექვივალენტს ლარებში, ინვოისის გამოწერის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო პირველი და მეორე თვის საიჯარო ქირა 1 მ2-ზე შეადგენს 12.50 (თორმეტი აშშ დოლარი და ორმოცდაათი ცენტი) აშშ დოლარის (დღგ-ს ჩათვლით) ექვივალენტს ლარებში, ინვოისის გამოწერის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით,
3.2. საიჯარო თანხის დარიცხვა მოხდება წინამდებარე საიჯარო ურთიერთობის წარმოშობის (ფართის გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების გაფორმების) დღიდან.
3.3. ანგარიშსწორება წარმოებს შემდეგი წესით:
3.3.1. საიჯარო ურთიერთობის ძალაში შესვლიდან "მოიჯარე" თითოეული თვის საიჯარო ქირას იხდის არაუგვიანეს ყოველი მიმდინარე თვის 10 რიცხვისა, ხოლო წინამდებარე ხელშეკრულების 3.3.2. ქვეპუნქტში მოცემულ გადასახადებს არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვისა.
3.3.2. "მოიჯარე" იხდის, ელექტროენერგიის, დასუფთავების და სხვა ანალოგიურ გადასახადებს, ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე წარმოშობილი ყველა ანალოგიური გადასახადის ვალდებულება ეკისრება მეიჯარეს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მეიჯარე ვალდებულია
4.1.1. გადასცეს "მოიჯარეს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება;
4.1.2. ხელი შეუწყოს მოიჯარეს ყველა საჭირო საბუთის მიღებაში (ცნობა, ნებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვონ ხელისუფლების/ადმინისტრაციულმა მათ შორის და არა მარტო მაკონტროლებელმა ორგანოებმა;
4.1.3. თავისი მიზეზის გამო გამოწვეული დაზიანებების შემთხვევაში მიიღოს ზომები მისი შედეგების აღმოსაფხვრელად;
4.1.4. მეიჯარე იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს იჯარის საგნის (მზიდი კედლების, ჭერის, იატაკის, ცენტრალური ელექტრო და მილ-გაყვანილობის და ა. შ. ჩათვლით) ან/და მასთან დაკავშირებული კომუნიკაციის საშუალებების (მათ შორის ელექტრო ენერგიის, ელექტროენერგიის მრიცხველი, სასმელი წყლის გაყვანილობა, კანალიზაცია, სატელეფონო და ინტერნეტ კავშირის ხაზები, მრიცხველები) მოვლა - პატრონობა, საჭიროების შემთხვევაში კაპიტალური სარემონტო სამუშაოების წარმოება, იმ შემთხვევაში თუ იჯარის საგნის ან/და მასთან დაკავშირებული კომუნიკაციის საშუალებების დაზიანება არ წარმოადგენს მოიჯარის ბრალეული ქმედების შედეგს. მეიჯარემ აღნიშნული ვალდებულების განხორციელებისას, თუ ეს შესაძლებელია, წინასწარ უნდა აცნობოს მოიჯარეს და არ დაუშვას ისეთი ქმედებები, რომლებიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული.
4.1.5. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე არ უზრუნველყოფს დაზიანების აღმოფხვრას, მოიჯარე ნებისმიერ დროს საკუთარი ხარჯით, თავად უზრუნველყოფს იჯარის საგანზე ან/და მასთან დაკავშირებულ კომუნიკაციის საშუალებებზე როგორც კაპიტალური, ასევე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. მხარეები თანხმდებიან, რომ მოიჯარის მიერ ჩატარებული კაპიტალური ან/და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ღირებულება, რომელიც დადასტურებული იქნება შესაბამისი დაბუღალტრო დოკუმენტებით, მოიჯარის მიერვე განსაზღვრული პერიოდულობით, გაიქვითება იჯარის საფასურიდან. მხარეები თანხმებიან, რომ წინამდებარე (4.1.5.) პუნქტით გათვალისიწინებული დაზიანება ან/და შემდგომი სამუშაოების ჩატარება და ხარჯთაღრიცხვა წინასწარ უნდა იქნეს შეთანხმებული მეიჯარესთან;

4.1.6. მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მოიჯარემ სრულად და ჯეროვნად ისარგებლოს იჯარის საგნით, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოიჯარეს შეეზღუდება ან/და ჩამოერთმევა იჯარის საგნით სარგებლობის უფლება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
4.1.7. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები და ასევე წერილობით გააცნოს მოიჯარეს იჯარის საგანზე და მის ტერიტორიაზე არსებულ ყველა ის წესი თუ პირობა რომელთა დაცვაც მოჯარისთვის სავალდებულოა ხელშეკრულების პირობების თანახმად;

4.2. მოიჯარე ვალდებულია:
4.2.1. იჯარით მიღებული ქონება გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ. იქონიოს იგი სრულ წესრიგსა სათანადო სანიტარულ მდგომარეობაში. არ დაუშვას "იჯარის საგნის" ფუნქციის შეცვლა მეიჯარესთან შეთანხმების გარეშე;
4.2.2. მოუაროს "იჯარის საგანს" და მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო, ტექნიკური და სხვა უსაფრთხოების წესები, სანიტარული მოთხოვნები, შენობის კუთვნილი მოწყობილობების და ინვენტარის წესები, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებების ტერიტორიაზე შესვლის, დგომის და გამოსვლის წესები. ამ პუნქტის დაუცველობის შემთხვევაში, აანაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზარალი.
4.2.3. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა "იჯარის საგნის" დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო მისი და არა მესამე პირების ბრალით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი თავისი ხარჯებით;
4.2.4 მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმებით განახორციელოს საიჯარო ფართის რემონტი თავისი საჭიროებიდან გამომდინარე;
4.2.4. დაუბრკოლებელად შეუშვას მეიჯარე ობიექტზე წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების, სანიტარული და ტექნიკური პირობების, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების კონტროლის და შემოწმების მიზნით;
4.2.5. ითმინოს ყველა სახის გატარებული ზემოქმედება, რომელიც აუცილებელია იჯარის საგნის შესანახად ან/და მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
4.2.6 მიიღოს და გააცნოს საკუთარ თანამშრომლებს ყველა ინფორმაცია „იჯარის საგნის" დაცვის შესახებ; ასევე უზრუნველყოს „მეიჯარის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაქირავებულ დაცვის პერსონალთან კეთილსინდისიერი თანამშრომლობა და „იჯარის საგნის" დაცვის წესების და დაცვის პერსონალის მითითებების შესრულება, წინამდებარე ხელშეკრულების ვადის განმავლობაში „იჯარის საგნის" დაცვის მიზნით;
4.2.6. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში გადაიხადოს „იჯარის საგანზე" ელექტროენერგიის, წყლის და დასუფთავების გადასახადები;
4.2.6. გადაიხადოს საიჯარო ქირა წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტის შესაბამისად;
4.2.7. საჭიროების შემთხვევაში, გადაიხადოს სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" წინამდებარე ხელშეკრულების რეგისტრაციის საფასური.
4.2.8. არ გადასცეს მესამე პირებს იჯარის საგანი ქვეიჯარით მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
4.2.9. წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე დაუბრუნოს „იჯარის საგანი" „მეიჯარეს".
4.2.10. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.
4.2.11 დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების ნორმები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად (მათ შორის დაიცვას საქართველოს მთავრობის დადგენილება #370 და #41, ასევე უზრუნველყოს თანამშრომელთა შრომის უფლებების დაცვა შრომის კოდექსის შესაბამისად);

4.3. მეიჯარე უფლებამოსილია:
4.3.1. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე დაარღვევს ხელშეკრულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორების ვადებს, მეიჯარე იღებს ვალდებულებას აღნიშნულის შესახებს წერილობითი ფორმით

შეატყობინოს მოიჯარეს და განუსაზღვროს გონივრული ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომელიც არ უნდა იყოს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეზე მეტი. ამ მუხლის მიზნებისთვის მეიჯარის მიერ მოიჯარისთვის კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება წერილის გაგზავნის დღე;

4.3.2. მოიჯარის მხრიდან გაფრთხილების ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია აუკრძალოს მოიჯარეს იჯარის საგნით სარგებლობა, ხოლო ვალდებულია მისცეს იჯარის საგანში განთავსებული ქონების განკარგვის უფლება.

4.3.2. აშშ. დოლარის კურსის 10%-იანი ცვლილების (ზრდა-ვარდნა) შემთხვევაში, მოიჯარესთან შეთანხმებით, გადახედოს „იჯარის საგნის“ ყოველთვიურ საიჯარო ქირას და შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

4.3.3. მოითხოვოს მოიჯარის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

4.3.4. გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული უფლებები.

4.4. მოიჯარე უფლებამოსილია:

4.4.1. მოიჯარე უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერი პირობით შეწყვეტის შემთხვევაში მოხსნას და თან წაიღოს მის მიერ იჯარის საგანზე დამონტაჟებული ნებისმიერი მოწყობილობა, დანადგარი ან/და სხვა მოძრავ ნივთი. მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ნივთების დემონტაჟი ან/და გატანა განხორციელდეს იჯარის საგნის არსებითი დაზიანების გარეშე.

4.4.2. იჯარის საგნის ტერიტორიაზე, ასევე იჯარის საგანთან დაკავშირებულ საერთო ქონებაზე (მათ შორის ფასადზე და სხვა) განათავსოს ნებისმიერი სახის რეკლამა.

4.4.3 მოთხოვოს მეიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა სრული და განუხრელი შესრულება.

5. მხარეთა პასუხსაგები განცხადებები

5.1 “მხარეები” აცხადებენ, რომ მათ გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება, იკისრონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შესრულების მიზნით.

5.2 “მხარეები“ აცხადებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეების მიერ შესაბამისი წესით და წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს.

5.3 “მეიჯარე“ აცხადებს, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ის წარმოადგენს „იჯარის საგნის“ კანონიერ მესაკუთრეს მას აქვს ყველა უფლება გადასცეს “მოიჯარეს“ „იჯარის საგანი“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში.

5.4 “მოიჯარე” აცხადებს რომ ინფორმირებულია იჯარის საგნის მდგომარეობის შესახებ და აცხადებს, რომ იჯარის საგანი ვარგისია მის მიერ იჯარის საგანში განსათავსებელ საქონელთან.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1 მხარეებს უფლება აქვთ 3 (სამი) კალენდარული თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით ცალმხრივად მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება რა შემთხვევაშიც ხელშეკრულების შემწყვეტი მხარე თავისუფალია პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე მიიღებს ხელშეკრულების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც არ უნდა იყოს 2 (ორი) კალენდარულ თვეზე ნაკლები რა შემთხვევაშიც - მეორე მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს, ხოლო ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მას ერთჯერადი პირგასამტეხლო იჯარის საფასურის ერთმაგი ოდენობით გადახდის მოთხოვნის წარდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

6.3. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე მიიღებს ხელშეკრულების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც არ უნდა იყოს 1 (ერთი) კალენდარულ თვეზე ნაკლები რა შემთხვევაშიც - მეორე მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს, ხოლო ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ვალდებულია

აუნაზღაუროს მას ერთჯერადი პირგასამტეხლო იჯარის საფასურის ორთმაგი ოდენობით გადახდის მოთხოვნის წარდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

6.4. მხარეები უფლებამოსილნი არიან, ნებისმიერ დროს, ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება.

6.5. რეგისტრირებული საიჯარო ხელშეკრულების შემთხვევაში, მხარეები აცხადებენ თანხმობას მასზედ, რომ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ცალმხრივი განცხადების საფუძველზე გააუქმოს იჯარის უფლების რეგისტრაცია საიჯარო ფართზე.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების შეუსრულებლობისათვის, თუკი ასეთი შეუსრულებლობა (არაჯეროვანი შესრულება) გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) ზემოქმედებით.

7.2 დაუძლეველი ძალის გარემოებები ისეთი გარემოებებია, რომლებიც წარმოიშვნენ მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად (სტიქიური უბედურება, ხანძარი, ეპიდემია, ომი ტერორისტული აქტი და სხვა) და რომელთა წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება აღემატება მხარეების გონივრულ კონტროლს და შესაძლებლობებს.

7.3 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ ასეთი მოვლენები გაგრძელდა 30 დღეზე მეტი ვადით მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ ხელშეკრულება;

8. განსაკუთრებული პირობები

8.1 თითოეული მხარე ვალდებულია, უპირობოდ და სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით _ ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდისიერი ან/და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8.2 „მოიჯარის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტში მოცემული ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მეიჯარეს“ უფლება აქვს თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე დაარიცხოს ჯარიმა „მოიჯარეს“ „საიჯარო ქირის“ 1%, ხოლო როდესაც ასეთი დარღვევა სცილდება 15 კალენდარულ დღეს – ჯარიმას ვადაგადაცილებული თანხის 50%-ის ოდენობით.

8.3 თუ „მოიჯარე“ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში განზრახ არ აბრუნებს „იჯარის საგანს“ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, „მეიჯარეს“ უფლება ეძლევა მოთხოვოს ფაქტობრივი სარგებლობის საიჯარო ქირის გადახდა.

9. დასკვნითი დებულებები

9.1 წინამდებარე საიჯარო ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

9.2 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება წყდება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავენ საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს ვერ მოახდენს გავლენას მთელი ხელშეკრულების ან მისი ცალკე პირობების ბათილობაზე, მათ იურიდიულ ძალასა და გამოყენებადობაზე. ბათილი პირობის ნაცვლად მოქმედებს წესი, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ პირობით დასახული მიზანი;

9.4 მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ერთმანეთს წერილობითი ფორმით მისამართის, ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის, საბანკო რეკვიზიტების და სხვა ცვლილებების შესახებ რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს წინამდებარე პირობების შესრულებაზე. უწყება, გზავნილი, წერილი ან სხვა,

ჩაბარებულად ჩაითვლება თუ ის გაგზავნილია მხარეთათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე, ან/და საჯარო რეესტრის ეროვნულ რეესტრში რეგისტრირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე;

9.5 წინამდებარე ხელშეკრულება შეიცავს მხარეებს შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დამატება, ცვლილება ან შესწორება ძალაშია მხოლოდ მაშინ თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

9.6 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა არ ართმევს მხარეებს უფლებას მოითხოვონ განუხორციელებელი ვალდებულების შესრულება, თუკი ამგვარი ვალდებულებები წარმოიშვა და არსებობდა ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

9.7 ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე;

9.8 მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება;

9.9 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მეიჯარეს, 1 ეგზემპლარი გადაეცემა მოიჯარეს, ხოლო 1 ეგზემპლარის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მეიჯარე

შპს "შემოქმედებითი ცენტრი ერისიონი"
ს/კ: 205214258
მის: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ #62
ა/ა GE46TB0648636020100005
ს.ს. "თიბისი ბანკი"

_____

მოიჯარე

შპს "დრანკ ოკტოპუს დისტრიბუცია"
კოდი: .406112442.
მის.:კალოუბნის ქ.33 გ.39
ელ. ფოსტა: iago@drunkoctopus.ge
მობ: .577560033

_____